



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება № 191/ი

14 03 2019წ.

ქ. თბილისი

რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) რეესტრის სამმართველოს უფროსის 2019 წლის 14 მარტის №304746 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-5 მუხლის 1^ა პუნქტის, 5^ა მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შპს - ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის რიგგარეშე მობილობის ადმინისტრირების მიზნით განისაზღვროს შემდეგი ვადები:

ა). უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რიგგარეშე მობილობით, საფეხურებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ან საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის, აგრეთვე, სწავლის საფასურის შესახებ ცენტრში ინფორმაციის წარდგენის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 22 მარტიდან 2019 წლის 27 მარტის ჩათვლით;

ბ) რიგგარეშე მობილობით ჩასარიცხ პირთა შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების ცენტრში წარდგენის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 29 მარტიდან 2019 წლის 5 აპრილის ჩათვლით;

გ) რიგგარეშე მობილობით ჩარიცხვის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს ბრძანების გამოცემის ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2019 წლის 15 აპრილი.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.eqe.ge) განთავსება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი



გიორგი ვაშაკიძე